




ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„კამბიკეზი“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

 კახაბერ კირტავა

21 05 2018 წელი

N 33/36

ეგზ.: N1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს
(პროგრამული კოდი 05 00)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული
ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტება.....	3
ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესახებ	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	5
1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	5
1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	5
1.2.1 მოთხოვნები.....	5
1.2.3 საცნობარო მუხლი	6
1.2.4 ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	7
1.2.5 კაპიტალი	7
1.2.6 აქტივების ინვენტარიზაცია.....	8
2. სხვა საკითხთა აზრები.....	8
2.1 მივლინება.....	8
2.2 შრომის ანაზღაურება.....	10
2.3 ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯი.	10
2.4 პროგრამული ბიუჯეტი	11
3. წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.....	13
4. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.....	13
5. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით.....	14
დანართები - სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება	16

ტერმინთა განმარტება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - **სამინისტრო;**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო რესურსცენტრი - **რესურსცენტრი;**

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი - **მუსიკალური ცენტრი;**

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა - **სასპორტო სკოლა;**

სსიპ - აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი ბათუმი - **ანსამბლი ბათუმი;**

სსიპ - აჭარის ხელოვნების მუზეუმი - **ხელოვნების მუზეუმი;**

სსიპ - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი - **არქეოლოგიური მუზეუმი;**

სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო - **სააგენტო;**

ა(ა)იპ - აჭარის მწერალთა სახლი - **მწერალთა სახლი;**

ა(ა)იპ - მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლა - **ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლა;**

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი - **საჩოგბურთო კომპლექსი;**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა - **სალიბაურის საჯარო სკოლა;**

სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა - **ჩაისუბნის საჯარო სკოლა;**

ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა - **ხალხური ხელოვნების სკოლა;**


ა(ა)იპ - თანამედროვე ხელოვნების სივრცე - **თანამედროვე ხელოვნების სივრცე;**

სსიპ - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი - **დრამატული თეატრი;**

საქვეუწყებო დაწესებულება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი - **დეპარტამენტი.**

ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არის განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში საქართველოს ერთიანი სამთავრობო პოლიტიკის გამტარებელი ორგანო. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტრო ახორციელებს თავის სისტემაში შემავალი ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს. სამინისტროს სისტემა მოიცავს ცენტრალურ აპარატს და მის შემადგენლობაში შემავალ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, რომლებიც წარმოდგენილია სქემის სახით:



სამინისტროს 2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების (რესპუბლიკური ბიუჯეტის ორგანიზაციული კოდი: 05.00) თანახმად, 2017 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 46,575,316 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 44,079,352 ლარი. საკასო შესრულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ეკონომიკური კოდი	მუხლის დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	შესრულების პროცენტი (%)
05.00	აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	46575316	44079352	2495964	94.64
	მომუშავეთა რიცხოვნობა	2663	2502		
2	ხარჯები	43592905	41662191	1930714	95.57
2.1	შრომის ანაზღაურება	16500109	16404135	95974	99.42
2.2	საქონელი და მომსახურება	6593339	6227602	365737	94.45
2.5	სუბსიდია	2048000	2022971	25029	98.78
2.6	გრანტი	6613600	6521244	92356	98.6
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	173307	173271	36	99.98
2.8	სხვა ხარჯები	11664550	10312968	1351582	88.41
31	არაფინანსური აქტივები	2982411	2417161	565250	81.05

ცხრილი N1. სამინისტროს 2017 წლის ძირითადი კონსოლიდირებული საბიუჯეტო პარამეტრები (ლარი)

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სამინისტროსთან არსებული ორგანიზაციების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“, „ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ“, „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „ანგარიში არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ“, „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ და „ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ“.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს სამინისტროსა და მასთან არსებული ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების და „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.2.1 მოთხოვნები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი იურიდიული პირების მიერ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული მოთხოვნები 17,415 ლარით, უზუსტოდ, შემცირებულადაა წარმოდგენილი, კერძოდ:

- არქეოლოგიურ მუზეუმს, შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებთან დაკავშირებით¹, მიმწოდებელზე გადახდილი ავანსი 12,578 ლარი, ნაცვლად ანგარიშისა - „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“, ასახული აქვს „შენობა-ნაგებობების“ ანგარიშზე. აღნიშნული გარემოება გამოწვეულია შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ დაშვებული შეცდომით.
- სააგენტოს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული მიმწოდებელზე დარიცხული პირგასამტეხლო - 4,837 ლარი. აღნიშნული გარემოება განპირობებულია პირგასამტეხლოს დარიცხვის თაობაზე შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ საბუღალტრო სამსახურისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობით.

მოთხოვნების არაზუსტად (შემცირებულად) წარმოდგენა იწვევს შესაბამის იურიდიულ პირებზე გასანაწილებელ საბიუჯეტო რესურსთან დაკავშირებით არასწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და წარმოშობს დაგეგმვის ეტაპზე საბიუჯეტო ასიგნების დაუსაბუთებელი მოთხოვნისა და საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად განკარგვის რისკებს.

¹ ხელშეკრულება N149, 31.10.2017; შპს „ლ - დაგი 2009“.

1.2.2 არაფინანსური აქტივები

სამინისტროს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების ღირებულება 806,751 ლარით, უზუსტოდ არის ასახული და ძირითადად განპირობებულია:

- მწერალთა სახლზე უსასყიდლოდ, არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაცემული 710,599 ლარის ღირებულების აქტივები, ფინანსურ ანგარიშგებაში ნაცვლად „სხვა შემოსავლებისა“², ასახულია „გრანტებში“.

- ანსამბლ „ბათუმის“, ხელოვნების მუზეუმისა და ბალანჩივადის ხელოვნების სკოლის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში, ჯამში - 48,543 ლარით³ შემცირებულია ძირითადი აქტივების ღირებულება და გაზრდილია გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ღირებულება.

- ჩაისუბნის საჯარო სკოლის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში⁴ გაზრდილია „ძირითადი აქტივების ღირებულება“ 17,771 ლარით, ხოლო შემცირებულია „მატერიალური მარაგების ნაშთი“ - 5,028 ლარით.

- საზოგადოებრივი კომპლექსის ძირითადი და მცირეფასიანი აქტივების საინვენტარიზაციო მასალებით, ფაქტობრივად არსებული აქტივების ღირებულება 7,297 ლარით შეუსაბამოა⁵ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ მონაცემებთან.

- ანსამბლ „ბათუმის“ მიერ შეძენილი ფონოგრამის ღირებულება⁶ - 6,437 ლარი, ნაცვლად „აქტივებში“ ასახვისა, ჩამოწერილია „ხარჯებში“.

- არქეოლოგიურ მუზეუმს „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ შემცირების ხარჯზე, ფინანსურ ანგარიშგებაში 5,820 ლარით გაზრდილად აქვს წარმოდგენილი „ძირითადი აქტივები“.

- სალიბაურის საჯარო სკოლის და ხალხური ხელოვნების სკოლის მიერ შეძენილი და შექმნილი აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული, ამიტომ აქტივების ნაშთი 4,086 ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი.

- თანამედროვე ხელოვნების სივრცის მიერ 1,170 ლარით შემცირებულია „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ ღირებულება და გაზრდილია ძირითადი აქტივების ღირებულება.

ზემოაღნიშნული უზუსტობები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ დაშვებული შეცდომითაა გამოწვეული. ამდენად, სამინისტრო არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას კონსოლიდირებულ ბალანსში შემაჯავლი იურიდიული პირების აქტივების რეალური ღირებულების შესახებ.

1.2.3 საცნობარო მუხლი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საცნობარო მუხლში, ამორტიზირებული ძირითადი აქტივების ღირებულება 1,225,525 ლარით უზუსტოდ, შემცირებულადაა წარმოდგენილი. აღნიშნული განპირობებულია სამინისტროში შემაჯავლი იურიდიული პირების მიერ შეცდომით/არასწორად განხორციელებული ფინანსური აღრიცხვით, კერძოდ:

- მუსიკალური ცენტრის მიერ 1,190,249 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები, რომლებიც ექვემდებარებოდა საცნობარო მუხლში აღრიცხვას, არ არის ასახული.
- ხელოვნების მუზეუმის მიერ 35,276 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები, რომლებიც ექვემდებარებოდა საცნობარო მუხლში ასახვას, არ არის ასახული.

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-3 და მე-20 პუნქტები. 23-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

³ ანსამბლი „ბათუმის“ - 19,920 ლარი, ხელოვნების მუზეუმი - 15,404 ლარი, ბალანჩივადის ხელოვნების სკოლა - 13,219 ლარი.

⁴ შემცირებულია „სხვა მატერიალური მარაგები“ - 5,028 ლარით, გაზრდილია მუხლები: „შენიშნული ნაგებობები“ - 110,288 ლარით და „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ - 7,483 ლარით.

⁵ შემცირებულადაა წარმოდგენილი „მცირეფასიანი აქტივები“ - 4,295 ლარით და „შენიშნული ნაგებობები“ - 453,9 ლარით, ხოლო გაზრდილად წარმოდგენილი „მარაგები“ - 709.96 ლარით, „მანქანა - დანადგარები და ინვენტარი“ - 1,839 ლარით.

⁶ ხელშეკრულება N5, 13.02.2017, იასონ ხომერიკი - 3,812 ლარი. ხელშეკრულება N6, 13.02.2017, იასონ ხომერიკი - 1,500 ლარი. ხელშეკრულება N13, 06.03.2017, გიორგი მაჭარაშვილი - 1,125 ლარი.

ფინანსური ანგარიშგების საცნობარო მუხლში აქტივების ღირებულებითი აღურცხაობა, არ იძლევა მხარჯავი დაწესებულების მფლობელობაში არსებული აქტივების რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაციას და წარმოშობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების არამართლზომიერად განკარგვის შესაძლებლობას.

1.2.4 ძირითადი კაპიტალის მოხმარება

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი იურიდიული პირების მიერ ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა), 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში 51,652 ლარით არასწორად არის ასახული, რაც გამოწვეულია ცვეთის ნორმების არასწორი გამოყენებით. ძირითადი კაპიტალის მოხმარება წარმოდგენილია ცხრილში:

N	მხარჯავი დაწესებულება	შემთხვევათა რაოდენობა	დარიცხულია მეტი	დარიცხულია ნაკლები	სულ უზუსტობა
1	სსიპ - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	45	779	22905	23684
2	სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი	38	0	9210	9210
3	სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი	12	2190	437	2627
4	ა(ა)იპ - აჭარის მწერალთა სახლი	18	3148	0	3148
5	ბათუმის რესურსცენტრი	4	1532	0	1532
6	ა(ა)იპ - აჭარის განათლების ფონდი	4	1219	0	1219
7	ა(ა)იპ - ბათუმის სასპორტო სკოლა	13	351	8507	8852
8	სსიპ - ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი	8	1016	364	1380
ჯამი:		142	10235	41423	51652

ცხრილი N2. ძირითადი კაპიტალის მოხმარების დარიცხვის შესახებ (ლარი)

ძირითადი კაპიტალის მოხმარების არასწორად ასახვა, წარმოშობს არაფინანსური აქტივების ნარჩენი ღირებულების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის შეუსაბამობას, რეალურ მდგომარეობასთან.

1.2.5 კაპიტალი

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალი 60,133 ლარით, უზუსტოდაა წარმოდგენილი, რაც მხარჯავი დაწესებულებების მიერ აღრიცხვაში დაშვებული შეცდომითაა გამოწვეული, კერძოდ:

- ხელოვნების მუზეუმის მიერ გაუნაწილებელი მოგების შემცირების ხარჯზე, საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიში 48,607 ლარით⁷, გაზრდილადაა წარმოდგენილი.
- ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის მიერ საბალანსო მონაცემებში „წმინდა ღირებულება“ 11,526 ლარით, გაზრდილად არის წარმოდგენილი.

⁷ სულ შემოსულობა - 57,069 ლარი, სულ ხარჯი: 25,937 ლარი, სხვაობა 31,132 ლარი. საბალანსო ნაშთი -79,739 ლარი, ფაქტობრივი ნაშთი - 31,132 ლარი, სხვაობა - 48,607 ლარი.

1.2.6 აქტივების ინვენტარიზაცია

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალ იურიდიულ პირებს 2017 წელს, მოქმედი რეგულაციის შესაბამისად⁸, არ ჩაუტარებია აქტივების ინვენტარიზაცია, რაც ძირითადად გამოწვეულია აღრიცხვა-ანგარიშგების არასრულყოფილი წარმოებით, კერძოდ:

- ხულოს რესურსცენტრს არ ჩაუტარებია ბალანსზე რიცხული 110,134 ლარის ღირებულების აქტივების ინვენტარიზაცია.
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს არა აქვს განხორციელებული 66,696 ლარის ღირებულების აქტივების ინვენტარიზაცია⁹.

- 2017 წელს მუსიკალური ცენტრის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით, როკ-ოპერა „ქეთო და კოტეს“ დეკორაციები და რეკვიზიტები, ღირებულებით 184,100 ლარი, ინახება სსიპ - საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში, თუმცა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მოცემული აქტივების შენახვას, ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთანავე, წარმოდგენილი დოკუმენტებით¹⁰ ირკვევა, რომ აღნიშნული ქონება წარმოადგენს, 2012 წლის 15 თებერვალს შპს „ბიზნეს პროტოკოლი პლუსზე“ სასყიდლიანი იჯარით¹¹ გაცემული ქონების ნაწილს, რომელიც უნდა დაბრუნებულიყო 2012 წლის 31 მაისამდე სრულად, რაც დღემდე არ განხორციელებულა. აუდიტის პერიოდში სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის მიერ მასალები გადაგზავნილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, აუდიტის ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს აქტივების ფაქტობრივად არსებობასა და სისრულეზე.

აუდიტი წარვმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობები დეტალურად არის აღწერილი ანგარიშის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“, ნაწილში. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ სამინისტროსაგან დამოუკიდებელი აუდიტორები. ამასთანავე, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

2. სხვა საკითხთა აზრები

2.1 მივლინება

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი იურიდიული პირების მიერ თანამშრომლებზე მივლინებისათვის გადახდილი 11,061 ლარი ბიუჯეტში დაბრუნების ნაცვლად, ჩამოწერილია „ხარჯებში“, კერძოდ:

ანსამბლი „ბათუმი“ - 6,071 ლარი

- 2017 წლის 30 მარტიდან 2 აპრილამდე ანსამბლის წევრები მივლინებულნი არიან ქალაქ თბილისში, რასთან დაკავშირებითაც 15 თანამშრომელზე ჯამში ანაზღაურებულია 4,950,0 ლარი, ასევე გამოყოფილია სამსახურებრივი სარგებლობის ავტომანქანა და საწვავი. ანსამბლის წევრების მიერ ღამისთვის

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

⁹ ინვენტარიზაციით ირიცხება 204,935,7 ლარის ღირებულების აქტივები, ფინანსური ანგარიშგებით (ძირითადი აქტივები - 151,169,1 ლარი, სტრატეგიული მარაგები - 73,308 ლარი, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები - 2,050 ლარი, საცნობარო მუხლში - 45,105 ლარი) - 271,632,1 ლარი, სხვაობა - 66,696,3 ლარი.

¹⁰ მუსიკალური ცენტრის წერილი N51700212698, 06.03.2017.

¹¹ ქ. ბათუმში, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის, დიდი საკონცერტო დარბაზის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებით, ვიქტორ დოლიძის საოპერო სპექტაკლის - „ქეთო და კოტეს“ დადგმის სასცენო კოსტიუმების, დეკორაციებისა და საკონცერტო მიკროფონების იჯარა. ხელშეკრულების მიხედვით, იჯარით გაიცა 316.5 ათასი ლარის ქონება.

დამადასტურებელ დოკუმენტად წარმოდგენილია ქალაქ თბილისში, სასტუმროს¹² მიერ გაცემული ფისკალური ჩეკი და ინვოისი, თუმცა მივლინებისათვის გამოყოფილ ავტომანქანაზე, მივლინების პერიოდში საწვავის ჩასხმა ფიქსირდება ქალაქ ბათუმში, რაც ადასტურებს, რომ მივლინებისას სამსახურებრივი ავტომანქანით არ უსარგებლიათ. გარდა აღნიშნულისა, სატელეფონო კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 9 თანამშრომლის¹³ ქალაქ თბილისში ფაქტობრივად ყოფნა მივლინების პერიოდში არ ფიქსირდება. აღნიშნულ პირობებში მივლინებისათვის მათზე გადახდილია 3,211 ლარი.

- ანსამბლ „ბათუმის“ დირექტორის ბრძანებით¹⁴, ანსამბლის 5 თანამშრომელი სხვადასხვა პერიოდში მივლინებულია ქალაქ თბილისში და ჯამში გადახდილია 2,860 ლარი. ღამისთევის დამადასტურებელ დოკუმენტად წარმოდგენილია ქალაქ თბილისში¹⁵, სასტუმროს მიერ გაცემული ფისკალური ჩეკი და ინვოისი. ამავე დროს, სატელეფონო კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული პირების მივლინების პერიოდში ქ. თბილისში ფაქტობრივად ყოფნა არ დასტურდება.

მუსიკალური ცენტრი - 4,990 ლარი

- მუსიკალური ცენტრის დირექტორის ბრძანებით¹⁶, სომხეთის რესპუბლიკის ქალაქ ერევანში მივლინებულია ცენტრის ორი თანამშრომელი. აუდიტის პერიოდში მოპოვებული მტკიცებულებით ირკვევა, რომ მუსიკალური ცენტრის ერთი თანამშრომელი¹⁷ ფიზიკურად არ იმყოფებოდა მივლინების ბრძანების შესაბამისად დანიშნულების ადგილზე, ხოლო მივლინებისათვის გამოყოფილი ავტომანქანით არ განხორციელებულა მივლინებაში გამგზავრება. აღნიშნულ პირობებში მივლინებისათვის გაცემულია 1,730 ლარი¹⁸.

- მუსიკალური ცენტრის დირექტორის ბრძანებით¹⁹, 2017 წლის 20 დეკემბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით თურქეთის რესპუბლიკაში მივლინებული იყო ცენტრის დირექტორი და მძღოლი²⁰. აუდიტის პერიოდში მოპოვებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ მივლინების შესახებ ბრძანებით განსაზღვრული სრული პერიოდის განმავლობაში, დირექტორი არ იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკაში. კერძოდ, მან 2017 წლის 20 დეკემბერს გადაკვეთა საზღვარი და საქართველოში იმავე დღეს დაბრუნდა. მიუხედავად აღნიშნულისა, მძღოლი, რომელსაც ევალებოდა მივლინების დროს ავტოსატრანსპორტო საშუალებით მომსახურებოდა დირექტორს, არ დაბრუნებულა საქართველოში და მასზე ანაზღაურებულია სრული სამივლინებო პერიოდის ხარჯი. შედეგად სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯის გაწევისა და მისი დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულების არარსებობის პირობებში, ჯამში გადახდილია 3260 ლარი²¹.

¹² სასტუმრო სახლი „საქართველო“.

¹³ მზეკაბუკ სურმანიძე - 571,2 ლარი, დავით ჭყონია - 330 ლარი, რომან შაინიძე - 330 ლარი, არჩილ სოსელია - 330 ლარი, ზვიად სურმანიძე - 330 ლარი, ომარ ვაშალომიძე - 330 ლარი, ლევან ცხიძე - 330 ლარი, მამუკა სურმანიძე - 330 ლარი, ნუგზარ დოლიძე - 330 ლარი, სულ 3,211,2 ლარი.

¹⁴ **ჯემალ ქიზულაძე** - ბრძანება N15/1, 10.05.2017, 225 ლარი; **ომარ ვაშალომიძე** - ბრძანება N10, 10.04.2017, 330 ლარი; ბრძანება N17, 07.06.2017, 245 ლარი; ბრძანება N24, 02.11.2017, 645 ლარი, სულ - 1,445 ლარი. **მზეკაბუკ სურმანიძე** - ბრძანება N2, 14.02.2017, 255 ლარი; ბრძანება N10, 10.04.2017, 105 ლარი; ბრძანება N15, 08.05.2017, 195 ლარი; ბრძანება N15/2, 10.05.2017, 105 ლარი, ბრძანება N17, 07.06.2017, 20 ლარი; ბრძანება N18, 24.07.2017, 210 ლარი; ბრძანება N24, 02.11.2017, 195 ლარი; **ზვიად სურმანიძე** - ბრძანება N10, 10.04.2017, 105 ლარი; **ლაშა გედენიძე** - ბრძანება N9, 28.03.2017წ. 225 ლარი; სულ: 1,415 ლარი.

¹⁵ სასტუმრო სახლი „საქართველო“.

¹⁶ ბრძანება N17/01-07, 02.02.2017; დირექტორი - გიორგი მიქელაძე, მძღოლი - რამაზ შველიძე. სომხეთის ეროვნული აკადემიურ თეატრსა და მუსიკალურ ცენტრს შორის სამომავლო ურთიერთთანამშრომლობასთან დაკავშირებით.

¹⁷ რამაზ შველიძის განმარტებითი ბარათი.

¹⁸ აუდიტის მიმდინარეობისას 1730.3 ლარი დაბრუნებულია ბიუჯეტში.

¹⁹ ბრძანება N208/01-07, 18.12.2017, კვარტეტ „ნოტას“ და საოპერო დასის ქ. სამსუნში (თურქეთის რესპუბლიკა) გასტროლოთან დაკავშირებით, ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით - UJU 861.

²⁰ დირექტორი გიორგი მიქელაძე და მძღოლი რამაზ შველიძე.

²¹ დირექტორი - 1,369 ლარი; მძღოლი - 1,891 ლარი.

ხარჯვის დამადასტურებელი მტკიცებულების არარსებობის პირობებში, მივლინებისათვის გაცემული თანხების ბიუჯეტში დაბრუნების ნაცვლად, ხარჯებში ჩამოწერა წარმოშობს საბიუჯეტო რესურსის არამიზნობრივად ხარჯვის რისკს.

2.2 შრომის ანაზღაურება თანამდებობრივი სარგო

აუდიტის პერიოდში მუსიკალურ ცენტრში საშტატო განრიგით დასაქმებულია 2 იურისტი, მათ შორის, ერთი იურისტი²², იმავდროულად აყვანილი იყო შტატგარეშე თანამშრომლად, თანაშემწე იურისტის თანამდებობაზე და მასზე 2017 წელს გაცემული შრომის ანაზღაურება ჯამში 21,300 ლარს შეადგენს (ძირითადი საშტატო ერთეულით - 15,300 ლარი და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებით - 6,000 ლარი), თუმცა შტატით დასაქმებული პირის, იმავდროულად შტატგარეშედ დასაქმების აუცილებლობა, წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება და აღნიშნული შესაძლოა თანამდებობრივი სარგოს ზრდაზე იყოს მიმართული.

დანამატი

სამინისტროს კონსოლიდირებულ ბალანსში შემავალი იურიდიული პირების მიერ 2017 წელს დანამატის სახით გაცემულია 615,831 ლარი. კლასიფიკაციის მიხედვით, დანამატის კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის, დანამატს განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის. დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას, ვინაიდან დანამატის გაცემის ბრძანებები ზოგადია და არ არის სათანადოდ დასაბუთებული. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით:

მხარჯავი დაწესებულება	გაცემული დანამატი	გაცემული თანამდებობრივი სარგო	დანამატის და თანამდებობრივი სარგოს შეფარდება პროცენტებში
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	339950	663896	51.21
ბათუმის რესურსცენტრი	30729	62577	49.11
ქობულეთის რესურსცენტრი	29091	57818	50.31
ხელვაჩაურის რესურსცენტრი	32052	65220	49.14
ქედის რესურსცენტრი	32052	65220	49.14
შუახევის რესურსცენტრი	31444	63700	49.36
ხულოს რესურსცენტრი	29898	59904	49.91
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი	90615	174644	51.89
ჯამი:	615,831	1,212,979	

ცხრილი N3. სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი იურიდიული პირების მიერ გაცემული დანამატების შესახებ (ლარი)

2.3 ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯი.

სასპორტო სკოლის ფინანსური ანგარიშგებით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტზე გაწეულია 8,148 ლარის ხარჯი, მათ

²² ეკატერინე მაკარაძე, ხელშეკრულებას ნომერი არა აქვს, გაფორმებულია 01.01.2016; ხელშეკრულებას ნომერი არა აქვს, გაფორმებულია 01.01.2017.

შორის, 6 შემთხვევაში ხელშეკრულება²³ გაფორმებულია მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირთან²⁴ და გადახდილია 7,070 ლარი. მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით დადასტურებულია შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება. წარმოდგენილი დოკუმენტებით, მიმწოდებლის საქმიანობის სახედ მითითებულია საბურავების შეკეთება, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტებით, შესრულებულია სატრანსპორტო საშუალებების შეკეთების სამუშაოები²⁵. ამავდროს, მიმწოდებლის განმარტებით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევაში სამუშაოებს ასრულებდნენ სხვა სახელოსნოში და თვითონვე უნაზღაურებდა თანხას, ხოლო რიგი სამუშაოებისათვის, ფულს ხელზე უბრუნებდა სკოლის წარმომადგენელს, შემდგომი შეკეთების მოტივით²⁶. აღნიშნული მიუთითებს საბიუჯეტო თანხების გარიგებით ხარჯვის რისკზე.

2.4 პროგრამული ბიუჯეტი

სამინისტროს 2017 წელს დამტკიცებული პროგრამით, შესრულებულია ბიუჯეტის 91,9%, მათ შორის, 10%-ზე მეტით შეუსრულებელია 12 ქვეპროგრამა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით:

პროგრ. კოდი	დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო შესრულება	სხვაობა საკასოს და დაზუსტებულ შორის	შესრულების %
05.03.02	საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა	300,000	300,000	0	300,000	0
05.03.04	სპორტის განვითარების ხელშეწყობა სკოლებში	600,000	443,000	376,922	66,078	85
05.04.01	ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის	150,000	129,000	107,980	21,020	84
05.04.03	სტუდენტთა დახმარება	1,000,000	1,000,000	819,875	180,125	82
05.04.04	უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	147,500	147,500	111,171	36,329	75
05.04.05	უცხოეთში სტაჟირება	10,600	10,600	6,800	3,800	64
05.04.06	სწავლა საზღვარგარეთ	325,000	325,000	252,307	72,693	78
05.05.02	კონკურსები და ოლიმპიადები	150,000	127,000	93,494	33,506	74
05.07.02	ქალაქ ბათუმის N6 საჯარო სკოლის - გაძლიერებული	48,640	52,180	46,385	5,795	89

²³ N12, 13.02.2017, 925 ლარი; N28, 05.04.2017, 1,525 ლარი. N42, 15.06.2017, 1,110 ლარი; N58, 15.08.2017, 1,010 ლარი; N71, 13.10.2017, 1,500 ლარი; N79, 24.11.2017, 1,000 ლარი.

²⁴ გოჩა სიხარულიძის ახსნა-განმარტების (23.03.2018) მიხედვით, გვერდით სახელოსნოში მომუშავე პირების მეშვეობით შესრულებულია 5,138 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები, ხოლო 1,932 ლარი მის მიერ გაცემულია სასპორტო სკოლის წარმომადგენელზე (მამუკა აბულაძე).

²⁵ ძრავის ე.წ. „პრაკლატის“ და ბაზინის შეცვლა, გიტარის „ტულუკების“ შეცვლა, „რაზვალის“ გასწორება, ძრავის ზეთის, ფილტრის და გენერატორის შეცვლა, კონდიციონერის შეკეთება, გადაცემათა კოლოფის შეკეთება, ელექტრონული სისტემის და კოლოფის კბილანის გამართვა.

²⁶ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით დადასტურებულია, რომ მიმწოდებელმა მომსახურება განახორციელა სრულად და გადახდილია მასზე 7,070 ლარი. აუდიტის ჯგუფზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით კი ირკვევა, რომ მას სამუშაოები არ შეუსრულებია.

	ფიზიკა-მათემატიკის სწავლება					
05.09.04	სსიპ - დაბა შუახევის საჯარო სკოლის საპანსიონო მომსახურება	129,580	128,170	108,094	20,076	84
05.12.10.02	კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება	2,385,000	1,533,914	1,131,780	402,134	74
05.12.12.01	სსიპ - ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მკურნალობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი	705,510	1,163,631	918,693	244,938	79
	ჯამი:	5,951,830	5,359,995	3,973,501	1,386,494	

ცხრილი N4. სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების, პროგრამული ბიუჯეტის შესრულება (ლარი)

როგორც ცხრილიდან ჩანს, პროგრამის შესრულებლობა თანხობრივად შეადგენს 1,386,494 ლარს, რაც ძირითადად, განპირობებულია შემდეგით:

✓ **კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება** - შესრულებელია 26% - 402,134 ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში ძირითადად ვერ განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები:

- 121,725 ლარი - ძმები ნობელების ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის რეაბილიტაციის სამუშაოები შეწყვეტილია, ხელშეკრულების პირობების შესრულებლობის გამო.

- 97,000 ლარი - „საბავის სახლის“ რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა დასრულდა უარყოფითი შედეგით.

- 80,000 ლარი - შეჩერდა პეტრას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რადგან 2017-2019 წლებში დაგეგმილია ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

✓ **საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა** - შესრულებელია 100%, ანუ - 300,000 ლარი. ქვეპროგრამის მიზანია, აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე საჯარო სკოლების საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა, კერძოდ, ხულოს მუნიციპალიტეტში საპანსიონო ინფრასტრუქტურის შექმნა. პროგრამის განხორციელებლობა საპანსიონო სწავლებისადმი მიდგომის ცვლილებამ²⁷ განაპირობა, რაზედაც სამინისტროს მიერ წარმოდგენილია განმარტება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2017 წლის 27 აპრილის N MES01700417092 წერილი. აღნიშნული წერილის შემდეგ განხორციელებულია ცვლილებები კანონით²⁸ და შიდა მუხლობრივი გადანაწილებით, თუმცა აუთვისებელი თანხის შემდგომში სხვა მიზნებით განკარგვასთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ აქტივობა არ არის განხორციელებული.

✓ **სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა** - შესრულებელია 21%, ანუ - 244,938 ლარი. შესაბამისი თანხების აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში, თოჯინების თეატრისათვის განათების აპარატურის შესყიდვასთან დაკავშირებით, 2017 წლის 29 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საავანსო გადახდა ვერ განხორციელდა, საბანკო გარანტიის დროულად წარმოდგენილობის გამო.

²⁷ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2017 წლის 27 აპრილის N MES 1700417092 წერილის შესაბამისად დაგეგმილია 2017-2018 სასწავლო წელს სკოლა-პანსიონების, პანსიონურ ნაწილში პირველკლასელთა ჩარიცხვის პროცედურის შეჩერება.

²⁸ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ

3. წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები, რომელთა გამოსწორების მიზნით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის ანალიზით დგინდება, რომ:

- აქტივების აღრიცხვასთან და ძირითადი კაპიტალის მოხმარებასთან დაკავშირებით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები, გარდა სსიპ - ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრისა, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი იურიდიული პირების მიერ აღმოფხვრილია და შესაბამისი ცვლილებები ასახულია 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.
- სსიპ - ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრზე გაცემული რეკომენდაცია ძირითადი კაპიტალის მოხმარების ცვლილებასთან დაკავშირებით, შესრულებულია აუდიტის პერიოდში და ასახულია 2018 წლის პირველი კვარტლის ფინანსურ ანგარიშგებაში.
- სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საშტატო განრიგით, იურისტის თანამდებობაზე დასაქმებული პირის, იმავდროულად შტატგარეშედ, თანაშემწე იურისტის თანამდებობაზე დასაქმებასთან დაკავშირებით ნაკლოვანება, ასახულია 2016 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიშში, თუმცა მუსიკალური ცენტრის მიერ არ იქნა გათვალისწინებული და შესაბამისად, ღონისძიებაც არ არის გატარებული. აღნიშნული გარემოება განმეორებით ასახულია 2017 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.
- სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში 184,100 ლარის ღირებულების აქტივებთან დაკავშირებით ნაკლოვანება ასახულია 2016 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიშში, თუმცა მუსიკალური ცენტრის მიერ შესაბამისი ღონისძიება 2017 წელს არ არის გატარებული. აღნიშნული გარემოება განმეორებით ასახულია 2017 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.
- დანამატების გაცემასთან დაკავშირებით ნაკლოვანება ასახულია 2016 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიშში, თუმცა სათანადო რეაგირება არ მომხდარა. აღნიშნული გარემოება განმეორებით ასახულია 2017 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების გაუთვალისწინებლობა და შემდგომში ანალოგიური ხასიათის დარღვევების განმეორება, ხელს უშლის საჯარო ფინანსების მართვის პროცესის გაუმჯობესებას და წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად განკარგვის რისკს.

4. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის და „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს ორგანიზაციის უნარი - უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამყდავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

5. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI 1000-1810 -ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე.

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას.

- ვასკვნით ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის - მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს. აგრეთვე, უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს.

- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე, აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა ხელმოწერა

ნადიმ ბოლქვაძე

მთავარი აუდიტორი



მაია მუჯირიშვილი

უფროსი აუდიტორი



ავთანდილ აბაშიძე

აუდიტორ-ასისტენტი



რამაზ დიასამიძე

აუდიტორ-ასისტენტი



21 მაისი 2018 წელი

დანართები - სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება

ბალანსის დანართი ფორმა N1

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110	30	0
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120	0	0
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211	88491	119516
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1212	0	0
050	სხვა ანგარიშები ბანკში	1220	7428	18768
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230	95282	394250
